

დედაენის დღე

❑ დღეს საქართველოში საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. უკვე 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვი საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმება დააპირა, ხოლო ამას 1978 წლის 14 აპრილს სტუდენტები მანიფესტაციებით დაუპირისპირდნენ. შედეგად საქართველოს ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსით შეუნარჩუნდა.

დღეს საქართველო ამ თარიღს არაერთი ღონისძიებით აღნიშნავს. მათ შორის, თბილისში, კონკრეტულად კი დედაენის ბაღში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის წიგნების გამოფენა-გაყიდვა, საგანმანათლებლო აქტივობა „დაბეჭდე „დედაენა“, კონცერტები, გამოფენები და და სხვ.

ქუთაისში, „დედაენის კედელი“ საზეიმოდ გაიხსნა. ინფორმაციას კედლის მოხატვის მიზნით, ქარაქის მერიამ კონკურსი „მოხატე ქარაქი დედაენით“ გამოაცხადა. გამარჯვებულებმა, მარიამ ქებურიამ და თამარ წახნაკიამ აგურის კედელი მოხატეს. ქუთაისში კინოთეატრ „მონპრეზირის“ ტერიტორიაზე ორი კედელი 2016 წელს მოიხატა. ერთ კედელზე წარწერა “მე შენ მიყვარხარ”, მეორეზე კი გოგონას მურტიმედოური პორტრეტი განთავსდა, რომლის ავტორი ფრანგი მხატვარი გახდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დედა ენის დღე მოძრაობის „**არა ბარბარიზმებს**“ სკოლის მოსწავლეთა კონკურსში – „**გავუფრთხილდე მშობლიურ ენას!**“ გამარჯვებულთა და ქართული ენის სწავლება-პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიარით აღინიშნა. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან და კორნელი კეკელიძის სახელობის ხერხანაშვილი ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით გაიმართა.

კონკურსი „გავუფრთხილდე მშობლიურ ენას!“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნებოდა და მასში საქართველოს

40 სკორის 400-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. სკორის მოსწავდეებმა დაწერეს ესე თემაზე: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობრიურ ენას“, სკორებმა კი ჩაატარეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საკონკურსო ფიურში გამოავლინა 20 გამარჯვებული მოსწავდე.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკერი, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ადიბეგაშვილი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„მიხარია, რომ დღეს, სწორედ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ ასე მნიშვნელოვნად აღვნიშნავთ იმ თარიღს, რომელიც სურ 40 წლის წინ იწყებოდა, როგორც დიღა, რომლის ორგანიზატორებსაც ადბათ, ბოლომდე არ ჰქონდათ იმედი როგორ გაგრძელებოდა მათი დღე და მათი მომავალი, მაგრამ მათ გმირური ნაბიჯი გადადგეს და დაიცვეს ჩვენი მშობრივი ენა და ამასთან ერთად, სტიმული მისცეს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ახალი ტარლის წამოწყებას. მართლაც, ქართული ენა ჩვენი იდენტობის, ქართული იდენტობის კურდურული, ეთნიკური და მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოებრივი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფენომენია,“ – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.



თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, 40 წლის წინ, 14 აპრილს

ჩამოყალიბდა ქართული სამოქალაქო საზოგადოება და დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ტაღლა.

„ძარიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ცხოვრებაში. მე ვიტყვოდი, რომ ერთ-ერთი იმ დღეთაგანი, რომელმაც ჩვენი თანამედროვე ისტორია შექმნა. ბევრ მოღვაწეს, რომელიც გამოვიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროცესებში, არ ჰქონდა განცდა იმისა, რომ მართლა შესაძლებელი იყო იმპერიური მანქანის დამარცხება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელი ერი გაერთიანდა ამ იდეის გარშემო და შევძერით ქართული ენის გადარჩენა, როგორც სახელმწიფო ენისა,“ – აღნიშნა თსუ რექტორმა.

ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, გიორგი ადიბეგაშვილის თქმით, 40 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაძრურმა სტუდენტობამ, პროფესურამ და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ისტორიულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩაუყარეს საფუძველი.

„დღევანდელი დღე 1978 წლის მოვლენების კურმინაციური დღეა. ვფიქრობ, რომ იმ პროცესებს გარკვეული უხიდავი ხელი მართავდა და ეს უხიდავი ხელი იყო ქართველი ხალხის ნება – მიგველო ისტორიული გადაწყვეტილება,“ – განაცხადა გიორგი ადიბეგაშვილმა.

კონკურსის გამარჯვებულ მოსწავდეებს და მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისგან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და თბილისი ბანკისგან გადაეცათ ჯილდოები და სიგედეები.



ღონისძიებაზე ენის სახელმწიფო დეპარტამენტის დედაენის დღის საიუბილეო თარიღისადმი (1978-2018) მიძღვნილი მედლებით და სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ ქართული ენის სწავლებისა და პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ისპაჰანის ენების ცენტრის ქართული ენის მასწავლებელი ჰუსეინ მიქედანი (მიქედაძე), ვლადიკავკაზის აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 (ქართული) საშუალო სკოლის დირექტორი ეთერ ფიცხვიაური, საზოგადოებრივი მაუწყებლობა აფხაზურენოვანი "მთავარის" რედაქტორი; ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის – რადიო "ჰარა" დირექტორი ესმა კოკოსკერია, ბორნისის რაიონის სოფელ ნახიდურის საჯარო სკოლა; ქართული ენისა და დიტერატურის მასწავლებელი ნუნუ დევნობაშვილი, მარნეულის N3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე მაჭდი მამედლოვი, ირია ჭავჭავაძის სახელობის ქაღაქ ახადქაღაქის #3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და დიტერატურის მასწავლებელი ნანა კარაპეტიაანი, რაგბის ქართული ტერმინების შემქმნელი ბაად გიგინეიშვილი, დიდი ბრიტანეთის ედრი ჯასტინ მაკენზი სმიტი, ქართული წერა-კითხვის, ქართული დიტერატურის ნიმუშების გამავრცელებელი და პოპულარიზატორი ფერეიდანში ალი რეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი).

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სახელმწიფო ენისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობისთვის, ქართული ენის პოპულარიზაციისა და ახადგამრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა ქართველი მეცნიერები : შუქია აფრიღონიძე, დაურა გრიგორაშვილი, დამანა მერიქიშვილი, გრივერ ფარიდავა; 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დაცვისთვის, სახადხო მოძრაობაში აქტიური

მონაწილეობისა და ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის
შენარჩუნებაში შეტანილი პირადი წვდილობის ღირსების ორდენით
დაჯილდოვდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ
ჩხეიძე.